საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 226 02 ოქტომბერი 2019 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 1 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/3460 მომართვაზე (სარეგისტრაციო №198) - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვის შესახებ" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 1 ოქტომბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/3460 მომართვაზე (სარეგისტრაციო №198) - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვის შესახებ" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს VII თავის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვის შესახებ".
2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2020 წლის იანვრამდე.
3. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვის შესახებ" საკითხი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს – თათია ჯინჯოლავასა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს – ვეფხვია რუსიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი